თქვენზე დაინიშნებიან მმართველები, რომელთა საქმეებიდან ზოგი თქვენთვის მისაღები იქნება, ზოგი კი — დასაგმობი. მათ შორის, ვინც იგრძნობს ზიზღს მათი დასაგმობი საქმეების მიმართ, უდანაშაულო დარჩება, ხოლო ვინც დაგმობს მათ, გადარჩება. განსხვავებით მათგან, ვინც კმაყოფილი დარჩება და მათ გზას გაჰყვება

მორწმუნეთა დედა უმმ სალამა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თქვენზე დაინიშნებიან მმართველები, რომელთა საქმეებიდან ზოგი თქვენთვის მისაღები იქნება, ზოგი კი — დასაგმობი. მათ შორის, ვინც იგრძნობს ზიზღს მათი დასაგმობი საქმეების მიმართ, უდანაშაულო დარჩება, ხოლო ვინც დაგმობს მათ, გადარჩება. განსხვავებით მათგან, ვინც კმაყოფილი დარჩება და მათ გზას გაჰყვება. ხალხმა ჰკითხა: "ალლაჰის მოციქულო, განა არ უნდა ვიბრძოლოთ ასეთ მმართველებთან?" მან უპასუხა: «არა, მანამ სანამ ისინი ლოცვას აღასრულებენ».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ჩვენ გვეყოლება მართველები, ჩვენ ვნახავთ მათგან ზოგიერთ ქმედებებს, რომელბიც არის შარიათის შესაბამისი, ხოლო ზოგიერთი ქმედებები იქნება შარიათის საწინააღმდეგო, ვინც გულით შეიძულებს მოუწონარ ქმედებებს, მაგრამ მისი უარყოფის (გაკიცხვის) ძალა არ შესწევს, ის თავს დააღწევს ცოდვისგან და ორპირობისგან. ვისაც შეუძლია მისი გამოსწორება ენით ან ქმედებით, და გაკიცხა ისინი, გადარჩენილი იქნება ცოდვისგან და მათთან თანამონაწილეობისგან. მაგრამ ვინც კმაყოფილი იქნება მათი ნამოქმედარით და მათ გაჰყვება იმ დანაშაულში, დაიღუპება ისე, როგორც ისინი დაიღუპნენ. შემდეგ შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხეს: არ ვეომოთ იმ მმართველებს, რომელთა თვისებები ასეთი იქნება? მან ეს აუკრძალა, და თქვა: არა, მანამ, სანამ თქვენთან ერთად ლოცვას ასრულებენ.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3481